



№ 9 (1379) მაისი 1972

საქსი

გამოცემის 49-ე წელი ფასი 20 კპ.

ნ.ს. ჯ. ლოლუასი

— ღამიჭირებს, თავი მომჭრებს, რატომ პარავი ავიზიანა?!



ტურისტული მოგზაურობის დროს მე და ჩემს მეგობარს, მეტეოროლოგიური მიზნების გამო, საათითა და 15 წუთით მოგვიხდა რომში დაფრენა, მაგრამ ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იტალიური ენის შესასწავლად. ახლა თავისუფლად ვლაპარაკობთ იტალიურად მათთან, ვინც ეს ენა სრულებით არ იცის. არც ერთ შემთხვევას არ ვუშვებთ ამ მხრივ პრაქტიკის მისაღებად და, წარმოდგინეთ, რამდენად სასიხარულო იქნებოდა ჩვენთვის, როცა გავიგეთ, რომ თბილისის დასავლეთ კარებში წამოვიმეს იტალიური ავტოსამრეცხაო „ჩეკატო“.

— ქე ბელა რობა ჩეკატო! — წამოვიძახეთ აღტაცებით და, ყველა თბილისელთან ერთად, ერთი ათასჯერ მაინც დავლოცეთ გულში რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო, საქავტოტექნომსახურების სამმართველო კარგი საქმის თაოსნობისათვის.

მანქანები მომრავალდა, მათი მომსახურების საქმე გართულდა და სწორედ ამიტომ შოფერებში ახლა ასეთ საუბარსაც მოჰკრავთ ყურს:

— თუ გინდა, მანქანა უცბად, ეშხიანად გაარეცხინო, ყველაზე ნაღლია...

- დოლაბაური?..
- არა, ტო!
- საბურთალო?
- ბნელა, ტო!
- ვა, მა სადა, ტო!
- ჩე...კა...ტო!..

ჩვენც თბილისელები ვართ, ჩვენც გვიხარია ეს ამბავი და ვამბობთ: ბრავო, ჩეკატო! მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხშირად ხდება, ამ საქმეს ეშმაკები დაეპატრონენ და ამ უკანასკნელებს კი დღემდე პატრონები არ გამოუჩნდნენ.

პირდაპირ გზაზე მახესავითაა დაგებული. ვერაფერს დაუწუნებ, შეძრები შიგ, გადავივამს თავზე ხელს, ვაგაკრიალეხს, ვაგალამაზებხს და... ვაგფცქენის კიდევ.

შუშების ჩაღწევა უკვე მოუწერიათ. ქართული წარწერიდან „რ ცხვა“ დარჩენილა, რუსული „Мойка“-დან — „она“.

ნიხრს დაუწყეთ ძებნა, შენც არ მომიკვდე!

- ნიხრი არ გაქვთ?
- ვკითხეთ საოპერატოროში დიდკატურად გამოგვიძულ ახალგაზრდას.

— ნიხრი შეგნითაა! (გარედან ვერ წაიკითხავ, შიგ ვერ შეხვალ— ცივი წყლის ჭავლები ყოველი მხრიდან საიგიელოდ იცავენ ცნობისმოყვარეებისა—

¹ დიდებული რამაა ეს ჩეკატო!
² ეშმაკაც წაუღიხართ.
³ ეშმაკები, ვაგედება კაცი.
⁴ ეს აფერისტობაა!

ჩემი ჩემი რეკატო...

საუვლევაცხოვრებო თემაზე

გან ჰერზე მიმაგრებულ თუნუქის პატარა დაფას, რომელზეც, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, შავით შავზე აწერია რამდენიმე გაურკვეველი სიტყვა და ციფრი).

— რა ღირს მანქანის გარეცხვა? — ვკითხეთ მეორეს.

— 1 მანეთი და 68 კაპიკი!
— სანტა მარია... რა სიზუსტეა! — გავოცდი მე.

— პირველად ხართ? — მკითხა რიგის მეზობელმა, — 2 მანეთი ამათ უნდა დაუტოვოთ. შხაპს რომ მიიღებთ, შემდეგ რეზინის შლანგებით დაგვადებთ ორი მრეცხავი და რაც „ჩეკატომ“ დაგაკლოთ, ისინი ავისრულებენ, შიგნიდან გამოვიწმენდენ მანქანას და ჯიბეებსაც გამოვისუფთავებენ. 5-6 წუთში სამი მანეთი თვალსა და ხელს შუა გაქრება.

— ო, მამა მია! რა ყოფილა, კაცო, ეს „ჩეკატო“, ეს რეცხვა კი არა, ღლეტაა!

— არ დაგვიწყო ახლა იტალიური! — გვითხრეს, როცა შხაპი მივიღეთ და, ხურდასთან ერთად ქეატარიც მოვიტხოვეთ.

— აქ ყველა 2 მანეთს ტოვებს და თქვენთანაც ქვით არი... ქვითა ვართ, რა! — აგვიხსნა ნაძალადევი ღიმილით.

— ეს მანქანის კი არა, სინდის-ნამუსის გარეცხვაა... აჩიდენტო, ჩეკატო! — იტალიურად წამოვიძახეთ და გარეთ გამოვვარდით. აქ მართლაც ყაჩაღებით დაგვიხვდნენ შლანგიანი კაცები და ცეცხლზე წყალი გადაგვასხეს. ერთი მანეთი აქაც აგვაფცქენეს.

— პერ დიავოლო... მა რობა დამატი... — დავაყენეთ იტალიურის კორიანტელი, მაგრამ კაციშვილს ყურები არ გაუპარტყუნებია.

არა აქეთ ნიხრი, ქვითარი, მრიცხველი, არ ჰყავთ მოლარე, ვის ჯიბეში ჩაღის სახელმწიფო ფული, როგორ და

რამდენი, ღმერთმა უწყის, რადგან აქ ყველა მიწიერი უწყისები არეულია. მექანიკურ სამრეცხაოში (ხელმძღვანელი ი. გველუჯაშვილი) 6 კაცი მუშაობს. არ ვიცით, ასეთი ავტომატიკის პირობებში რა დატვირთვა აქვთ ამ ლომივით ვაჟკაცებს.

სამრეცხაოს თვითონ გეგმა 2200 მანეთს შეადგენს. ვისაც ერთხელ მაინც უნახავს „ჩეკატო“, დაგვეთანხმება, რომ ეს თანხა მისთვის რამდენიმე დღის ანგარიშია. 1970 წლის ივლისიდან გადიან წყლის ამ ტრიუმფულურ თალში თბილისის მანქანები. არაფერ იცის, ამ ხნის მანძილზე, რამდენი მანქანა გაძვრა აქ და რამდენი გააძვრეს მათ. ამ საიდუმლოს ახლა ეშმაკიც ვერ გაიგებს, რადგანაც იგი არანაკლები ეშმაკების ხელშია. მაგრამ, პატივცემულო მკითხველებო, ახლა ერთ დიდ საიდუმლოს ვაგიმხელთ, თუ სიტყვას მომცემთ, რომ იგი ჩვენს შორის არ დარჩება და მომავალში კულაბზიკობის, უშნო იმპარტავნობისა თუ რაღაც ჯანდაბისა და დონანის წყალობით, თქვენ თვითონ შეგნებულად არ წამოგებით თაღლითების ანკესს:

იცით, თურმე რა ღირს მანქანის მექანიკური გარეცხვა? სხვადასხვა მარკის მანქანის გარეცხვას სხვადასხვა ფასი აქვს. უფრო მეტიც: „მოსკვისის“ (400-დან დაწყებული 412-მდე) გარეცხვის ფასიც კი სხვადასხვაა. ეს ნიხრით... ისე კი აქ სრული „დემოკრატიაა“, ყველა ერთ რანგში — 2-3 მანეთად გადის.

— პორკა მადონა! — ვიყვირეთ ჩვენ, — დედაო ღვთისავ, ეს ხომ ღორობაა!

— რა ბრძანეთ? — გვკითხა მანქანიანად შეშინებულმა ყვითელი ფერის ძველი „ზაპოროჟეცის“ პატრონმა და უკან დაიხია.

— ეტყობა, იტალიიდან ჩამოყვა „ჩეკატოს“ კერძომესაკუთრული ვირუსი, — თქვა მეორემ, რომელიც აშკარა სიმპათიით ისმენდა ჩვენს იტალიურს.

— ო, მამა მია!

— რა ბრძანეთ?.. — კვლავ დაიხია უკან ძველმა „ზაპოროჟეცმა“.


— მასკალკონი! — წამოვიყვირეთ მამალივით და ნახევრადგარეცხილი მანქანითა და პირწმინდად გასუფთავებული ჯიბეებით, ნერვებდაწყვეტილები გამოვბრუნდით ქალაქისაკენ.

პატივცემულო მკითხველებო, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე გთავაზობთ პრეისკურანტს. ამ ნიხრით სარგებლობა ბევრ სარგებლობას მოგიტანთ, მაგრამ მისი ცხოვრებაში გატარება თქვენს ვაჟკაცობაზეც არის დამოკიდებული!

შანი სიხარულით
გარი მებრძოლი

მსუბუქი მანქანების უპაქეთებისა და ტექნიკური მომსახურების № 5-50-06 პრაქისკურანტიდან

№№	მომსახურების ოპერაციების დასახელება	მოსკვინი 400-401	მოსკვინი 402-407	მოსკვინი 408	მოსკვინი 412	ზაპოროჟეცე 3A3-966	ზაპოროჟეცე 3A3-966	ძიგული 2101	პობოლა 1A3-20	ვოლგა 1A3-21	ვოლგა 1A3-24
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
2	ავტომობილის შიდაგადასაკრავის გაწმენდა ჯაგრისით ან მტვერსასრუტით. ხალიჩების გამოღობა, ვაშმენდა და ჩაწყობა	0-30	0-50	0-50	0-55	0-60	0-66	0-55	0-60	0-68	0-75
4	ავტომობილის მექანიკური გარეცხვა ცივი წყლით და გამწვანება	0-50	0-76	0-7	...	75	0-77	0-77	0-75	1-00	1-10



— მილოცვისათვის მალეოვას გიხდით, მავრამ ზვიშვი ვერ გაგატარებთ, ჩვენ გადავწყვიტეთ „ნიანგის“ გარეშე მიცნობროთ!


ალოგიური რობაიები

„ზაზარში შევალ“, — გადაწყვიტე, — „ვიყიდი ყვავილს“ ვიყიდე, მავრამ მეყვავილემ გამაძრო ტყავი. თუ დედამიწა მართლა ბრუნავს, როგორც თქვა ბრუნომ, ექიმი რად არ უბრუნდება სოფელსა თავისს?

ზოგიერთ უვიცს სხვისითა აქვს მაგარი წელი, მისთვის ფურია ეს ცხოვრება: წველის და წველის... ანონიმური წერილების მწერალი კაცი ამ ქვეყნიდანაც სამარცხვინოდ წაიღებს წერილს.

ეს კრიტიკოსი სულ მას აქებს, ვინცა უქია, იმისთვის შავი თეთრი არის, მწვანე — მუქია. მუქთახორა და პარაზიტი ადამიანი უარს არ იტყვის კუბოზედაც, მუქთი თუკია.

ზაურ ბოლქვაძე



— ანისტანა საქმიანი და მოხერხებული კაცი აქ მოხვედრი?! — რა ვანა, ჩემო ძეგო, სადაც ვიშუშავი, ყველგან გაემყიდეს, მის ავი-ღე და უგაყიდველო მალაჩიში მოვეყვი!

ამას წინათ რედაქციაში შემოვიდა კაცი და გაგვეცნო: — იოსებ ბიორბის ძე იკოშვილი, ქარელიდან. პროფესიით მძღოლი, ამჟამად — სამსახურიდან გადამდგარი...

— გისმენთ, პატივცემულო! — კეთილი! ახლა ერთ საინტერესო ამბავს გეტყვით! იცით, ქე-ლეხმა რა თქვა? ქელებმა თქვა: სახელი ჩემია და სახარამი — ლხინისა... სადა თქვა? ამ სადღესო ანდაზის ავტორი ქარელის რაიონში ცხოვრობს. იცით რატომ თქვა?! გამოეთხოვება თუ არა ვინმე ამ წუთისოფელს (დმერთმა გაანათლოს!), მოსახლეობას ჭი-რის ლხინის განწყობილებასზე გვაყენებს, იმიტომ, რომ გასტრო-ნომიულ მალაჩიში ხორცის ჭაჭანება არ არის, ქელებში კი ხაშლა-მის მთები ღვას... რა ვანა, ისე იღიმებით, მეონი, არც გჯერათ?!

— ბრძანეთ, ბრძანეთ, გისმენთ! — დაბნეულად გუპასუხებთ. — ჰოდა, მე სწორედ ამ ქელებზეა დამუშავს... როგორა? რო-გორა და, ქარელის რაიონშია მშობლიური გუშაპები თანამშრომლის მამის ქელებს შეგვეცოდით. ექვსასამდე „ჭირისუფალმა“ ექვსი სუ-ლი ძროხა მივირთვიო... ის იყო, უკანასკნელი ჭიქაც გამოვალე, რომ მავრის საპატიო წვერმა, რაიკოთკავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, პატივცემულმა მარლენ მიხეილის ძე ქვიშვილიმ მზარზე ხელი დამკრა:

— იოსებ, ეს მიცვალეული კი გავაპატიოსნეთ, მავრამ მეორე მიცვალეულმა რა დავიშავა? მისი სულის სახსენებლად თოხი სუ-ლი საქონელი გვყავს გამოყოფილი და შენი მანქანით გააქანე სა-შურში!

— მთვრალი რომ ვარ, უფროსო? — გუპასუხე მე. — ჩემი ბრძანება გამოგაფხიზლებს! — საქონლის გადასატანად არც საბუთები გამაჩნია, ავტონს-პექციისა მეშინია!

— სამსახურიდან დაბოვებისა არ გეშინია?! — შეგკრა წარბები მან და... შუბლი მხოლოდ მაშინ ვახსნა, როცა ერთი თვის თავზე, მეორე ასეთვე „კანონიერი“ ბრძანების შეუსრულებლობისათვის, სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება ამაფარა შუბლზე...

ასე დაიწყო იკო და არა... იკოშვილის ეს ზღაპარი. — ესე იგი, უკანონოდ გავათავისუფლებს, არა?! — შევნიშნეთ ჩვენ.

— ვამ, არა გჯერათ, ხომ? — ექვსი თვლით შემოგვეგდა მო-საუბრემ, — კეთილი. ამ საკითხზე სასაბუთო იმსჯელებს. ახლა სხვაც მოსმინეთ: მარტო 1970 წელს აპარის ხორცმწარმოებელს და დელოფლის საბჭოთა მუშაკებშიდან ქარელის რაიონშია მშობლიური 120 სული საქონელი ჰყავს მიღებული, რომლის ცოცხალი წონა 27.375 კილოგრამს შეადგენს. გამოიდგელებმა ხორცის „გაყიდვის-თვის“ ხელფასი მიიღეს, მალაჩიში კი ხორცი თვალთაც არ უნა-ხავთ. პკითხეთ ყასბ მლადიმერ ყურბან-ოღლის და გიპასუხებთ, რომ იგი საქონელს კლავდა არა გასტრონომიული მალაჩისთვის. არამედ ქელებებისათვის. მანვე გამოჭრა ყელი 6 სულ პირუტყვს რაიკოთკავშირის თავმჯდომარის მოადგილის — მარლენ ქვიშვი-შვილის ნათესავის ქელებში. მოადგილისა მანაც რაიკოთკავშირის თავმჯდომარის — არსენ სანდოშვილის ახლობლის ქელებმა ახო-ბა... ერთი ძროხით!

— სხვა რა ბრალდებებს უყენებთ თქვენს ყოფილ ხელმძღვანე-ლებს? — ირონია და ეჭვი ერთად გაისმა ჩვენს კითხვაში.

— თქვენ თვალთ, — ნიშნისმოგებით მოგვიგო იკოშვილმა, — როგორც მოგახსენეთ, ქარელში ხორცს არავინ აცლიდა გაცივების და, აბა, მაცივარს რაღა თავში იხლიდნენ?! რაიკოთკავშირის გამგეო-ბამ გულცივად დაუწყო ცქერა რაიონში 13 წლის წინათ შემოტანილ 2,968 მანეთად ღირებულ 50 ტონა ტევადობის მაცივარს, რომელსაც უმოქმედობამ ყოველგვარი მოქმედების უნარი წაართვა და, ასეთი გულგრილობის შედეგად, მაცივარი სამუდამოდ „გაცივდა“.

ახლა სხვაც ვთქვათ: დადგენილების თანახმად, რაიკოთკავ-შირის ცხელი კერები უნდა მიეწოდებინა მინდვრად მომუშავე მშრო-მელებისათვის. 1970-71 წლების მანძილზე არ ყოფილა ამ ცხე-ლი კერებით პირის დაწვის არც ერთი შემთხვევა.

ქარელში გახლავთ ნახევრადმექანიზებული პურის საცხობი (გამ-გე — ბიორბი მინისიმს ძე წიქარიშვილი). მოგვხსენებთ, რა ძნელია გაგარეზრებულ ფურნესთან თფლის ღვრა. ალბათ, ამიტომ, რაიკოთკავშირის თავკაცებმა გულისხმიერება გამოიჩინეს და პუ-რისმცხობლებს თავიანთ ნებაზე მუშაობის სრულ ნებას აძლევენ. ასეთი შესწავლილებული მუშაობით საცხობმა გასული წლის შვიდ თვეში 32.944 კილოგრამი ფქვილი „დაზოგა“, ე. ი. ამ რაოდენო-ბის პური „გამოაცხო“ ყალბ ფაქტურებზე. ამ რაციონალიზატორუ-ლი წინადადების ავტორთა სასარგებლოდ დაიზოგა აგრეთვე პურის ცხობისთვის საჭირო დამხმარე მასალები: საფუარი, ზეთი, მარი-ლი, საწვევი მასალა... არ დაზოგილოდ პურის გამოცხობის ხელფასი და, რაც მთავარია, მომხმარებელი. სად წავიდა 32.944 კილოგრამი ფქვილი? არ თქვათ ახლა, იქნებ ქარელის მალაჩიებ-ში გაყიდეს: 4-5 წლის მანძილზე აქ ერთი შოთის გამოცხობას რომ ეყოფოდ, იმდენი პურის ფქვილიც კი არ მიუღიათ!

— თქვენ განაწყენებული ბრძანდებით და შურისგება გალაპარა-კებთ! განა შეიძლება ასეთი ბოროტმოქმედება ხდებოდეს რაიონში დღისით, მზისით? ეს ზღაპარია! — ვუთხარით განმცხადებელს და, ყოველი შემთხვევისთვის, საქმის შესასწავლად პირველი ნაბიჯი გა-დავდეთ...

ბაიოზ შავარზაშვილი

რედაქციისაგან: იოსებ გიორგის ძე იკოშვილის „ზღაპარი“ შე-მოწმებით დადასტურდა.



КРОКОДИЛ

ასა გადის ფლავი

ღებალი იწონიდა ერთ კილოგრამს. ვიმტვრიე, ვიმტვრიე თავი და მოვიფიქრე, რომ მისი წონა ორჯერ შემემცირებინა.

— ამხანაგო ხოლმეგოროვ, შენ გენიოსი ხარ! — მითხრა ტექნოლოგმა. — იდეა ამას ჰქვია. წარმოვიდგენია, რა ეკონომიას მივიღებთ? დღედაღამეში ნახევარი ტონა, თვეში — თხუთმეტი, წელიწადში — ასოთხმოცი. გამოგონებისა და რაციონალიზაციის ბიუროში საპატიო დაფისათვის „ჩამაკარტიჩკეს“ და დიპლომი მომადარეს შუბლში. გავიდა ზაფხული, მაგრამ იმ დეტალს წონაში არ დაუკლია. მივედი ბიუროში და ვიკითხე ამბავი.

— დაგაჯილდოეთ, ფული მიიღე? სხვა რაღა გინდა, შე კაცო?!

საკონსტრუქტორო ბიუროში ძმასავით შემხვდნენ.


— საიდან მოვივიდა თავში ასეთი გენიალური აზრი?! დიდებულია, დიდებული! — მითხრეს იქ.

თოვლი გადნა, ბალახიც წამობიბინდა. ის დეტალი კი წონაში არა და არ იკლებდა.

როგორც იქნა, სერგეი ივანიჩმა საკონსტრუქტორო ბიუროს ვიზა მისცა ჩემს რაციონალიზატორულ წინადადებას. ახლა სხვა დოკუმენტაციის გაფორმებაზე მიდგა ჯერი. მე, როგორც მოწინავე რაციონალიზატორს, რომელიც დაბეჯითებით მოვითხოვდი ჩემი ტექნიკური სიახლის წარმოებაში დანერგვას, სოჭის საგზური მომცეს. იქიდან დავბრუნდი გაშავებული და ენერგიით სავსე. მოძველებს გამო ის ჩარხი, იმ დეტალიანად, წარმოებიდან მოეხსნათ. იძულებული გახვდი, ახალ რაციონალიზატორულ წინადადებაზე შეფიქრა.

— ხოლმეგოროვ, შენ ნამდვილი გენიოსი ხარ!.. ისე, საგზური ხომ არ გინდა სადმე დასასვენებელ სახლში?

გ. კოლკუპინაძე



ნახ. გ. სოლოვიოვისა

— კაცო მგბი კატინისცემა რაღა გინდათ? თქვენსის ცალკე გოლორი შემოვიღეთ!



ნახ. ე. გუროვისა

— მართალია გამაპრიტივით, მაგრამ მე მაინც სიკეთით გადავიხდით. მიიღეთ სოჭის საგზური!

განცხადებები

იყიდება ვერტიკალური საწოლი იმ პირთათვის, რომელთაც ფეხზე სძინავთ!

საიდუმლო დოკუმენტების გადასაბეჭდად გვესაჭიროება წერა-კითხვის უცოდინარი მემანქანე!

მინიატურა

სტიჟარღესამ მღვდელს თვითმფრინავში კონიაკი მიართვა.

— რა სიმაღლეზე მივფრინავთ? — იკითხა ღვთისმსახურმა.

— ათი ათას მეტრზე.

— ძალიან ახლოს ვყოფილვარ შეფთან და სჯობს თავი შევტკავო!



ნახ. ი. სიჩავისა

— ჩვენ, კრიტიკოსები, არავის არ ვერიდებით. აი, მგბალითად, თქვენ კირში გბტყვით მოურიდებლად, რომ...

72-353




Индекс 76187

7
1979

საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკა

ს.ს.ს. პ.პ.პ.პ.პ.



ამჟამობაზე მეთ გულუხვობას იჩენს საბერძნეთისათვის სამხედრო დახმარების გაწევაში, რაც აშკარად ხელს უწყობს ამ ქვეყნის აგრესიულ პოლიტიკას კვიპროსისადმი

ქია სეხი — იაგო: — ამ სიკეთეზე ბაღეს მოვ-
ძსოვ და ამ ბაღეში გავაბამ ყველას!

საქართველოს
საბჭოთავო
ბიბლიოთეკა